ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ზაალ მამალაძეს

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ირაკლი კუჭავას

განმარტებითი ბარათი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ პროექტს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბერის №30 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე და განვმარტავთ შემდეგს:

2017 წლის 1 იანვრისათვის დარჩა ნაშთი 852,1 ათასი ლარი, მ.შ. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის N506 განკარგულებით ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" 0,1ათასი ლარი, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 მარტის N265 განკარგულებით ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" 1,5 ათასი ლარი.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად: 800,9 ათასი ლარი. მ.შ. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 ნოემბრის N2529 განკარგულებით 1,1 ათასი, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 ივლისის N1409 განკარგულებით 53,5 ათასი, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის N1533 განკარგულებით 409,2 ათასი ლარი. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 21 მარტის N485 განკარგულებით 337,1 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 დეკემბრის N 2620 განკარგულებით ,, მუნიციპალიტეტებისათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებების შეუფერხებელი დაფინანსების მიზნით თანხის გამოყოფის შესახებ" 1,5 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა მიიმართება წინა წელში აღებული ვალდებულებების დასაფარავად, ხოლო ნაშთიდან დარჩენილ 48,1 ათას ლარზე გამოიცა საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 იანვრის N131 განკარგულება ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის N39 და 2015 წლის 23 ოქტომბრის N2283 განარგულებების საფუძველზე დარჩენილი ეკონომიები მიიმართოს ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის საჭირო საპროექტო და საექსპერტო მომსახურების შესყიდვის მიზნით.

#

#

#

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის N480 განკარგულებით ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 388,5 ათასი ლარი, აღნიშნული თანხა მიმართული იქნება შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებისათვის: 1. სოფელ ზომლეთში ძველი ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია საბავშვო ბაღის, ბიბლიოთეკის და ახალგაზრდული ცენტრის განთავსების მიზნით - 152,0 ათასი ლარი. 2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ამაღლებაში კულტურის სახლის რეაბილიტაცია - 152,7 ათასი ლარი 3. სოფელ შუაფარცხმის სკვერის მოწყობა - 83,8 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის 2017 ბიუჯეტის შემოსავლები უნდა შემცირდეს 125,5 ათასი ლარით. აღნიშნულის შედეგად ბიუჯეტის დაზუსტებული მოცულობა გახდება 6909,2 ათასი ლარი. აღნიშნული თანხით უნდა შემცირდეს ბიუჯეტის ხარჯები კერძოდ: ა(ა)იპ კურორტი ბახმაროს სუბსიდირება 5,0 ათასი ლარით, ა(ა)იპ ს.ს.ს. დაწესებულება ,,მომავალი"-ს სუბსიდირება 20,0 ათასი ლარით, ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის სუბსიდირება 7,0 ათასი ლარით, ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის სუბსიდირება 1,5 ათასი ლარით, ა(ა)იპ სპორტის განვითარების ცენტრის სუბსიდირება 5,0 ათასი ლარით, ა(ა)იპ კულტურის ცენტრის სუბსიდირება 10,0 ათასი ლარით, ა(ა)იპ სამუსიკო სკოლის სუბსიდირება 5,0 ათასი ლარით, ა(ა)იპ სამუზეუმო გაერთიანების სუბსიდირება 10,0 ათასი ლარით, ა(ა)იპ სამხატვრო სკოლის სუბსიდირება 5,0 ათასი ლარით, ა(ა)იპ სამხატვრო გალერეას სუბსიდირება 2,0 ათასი ლარით, ა(ა)იპ სასპორტო სკოლის სუბსიდირება 85,5 ათასი ლარით, აქედან 30,5 ათასი ლარი მიიმართება ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ ,,ბახმარო"-ს სუბსიდირებაზე.

შემცირდება რელიგიის დაფინანსება დაფინანსება 10,0 ათასით და აღნიშნული თანხა მიიმართება განათლების სისტემის ხელშეწყობის პროგრამაზე.

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებებში მოხდება მუხლობრივი ცვლილება შემცირდება არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 5,0 ათასით და მიიმართება ხარჯების მუხლში (უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების იზოლიაცია).

სარეზერვო ფონდი შემცირდება 20,0 ათასით, განათლების სისტემის ხელშეწყობის პროგრამის ხარჯები 15,0 ათასით, შენობების ტექნიკური პასპორტების და მიწის საკადასტრო აზომვითი ნახაზების და საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნების, საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვის ხარჯები 23,0 ათასით, აღნიშნული თანხიდან მუნიციპალიტეტის გამგეობის გასული წლის დავალიანების (ვალდებულების კლება) დასაფარავად მიმართული იქნას 22,0 ათასი ლარი, ხოლო დარჩენილი 36,0 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის საქონელი და მომსახურების მუხლში. გარდა ამისა მოხდება მუხლობრივი ცვლილება მუნიციპალიტეტის გამგეობის ხარჯებში და 27,9 ათასი ლარი მიიმართება ისევ საქონელი და მომსახურების მუხლში.

#

#

#

2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ვალდებულებების დასაფარად მიიმართოს 81,1 ათასი ლარი.

თან წარმოგიდგენთ დადგენილების პროექტს თანდართული დანართების შესაბამისად.

პატივისცემით,

მუნიციპალიტეტის გამგებელი: ირაკლი კუჭავა

#